სვიმონის ლოცვა (3)
,,ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა"
(21.02.2021)

მართალმა სვიმონმა, როდესაც ხელში ახლადშობილი ქრისტე ეჭირა, თავისი სამადლობელი ღმერთის მიმართ დაამთავრა წინასწარმეტყველებით: ,,რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისსა, ნათელი გამობრწყინებად წარმართა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა" (ლუკა 2,30-32). სული წმინდისაგან შთაგონებული სვიმონი წინასწარმეტყველებდა, როგორც ოდესღაც ისაია (იხ. ის.49,6), რომ იესო ქრისტე არის ნათელი და მთელი კაცობრიობის მხსნელი. და ეს ნათელი გაანათებს ყველა წარმართ ხალხს, გაათავისუფლებს მათ ჭეშმარიტი ღმერთის უხილველობით გამოწვეული სიბნელისაგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოხუცი სვიმონის მიერ წარმოთქმული წინასწარმეტყველება, მოკლებულია თავისი თანამედროვე იუდეველების ფანატზმსა და განსაკუთრებულობას. მათი შეხედულება მესიის შესახებ შეზღუდულია იმ აზრით, რომ იგულისხმება მისი მოსვლა ყოფილ ისრაელებს, მხოლოდ ისრაელის გადასარჩენად. იუდეველებს რომ მოესმინათ, თუ რას ამბობს სვიმონი ხსნის შესახებ, რომელიც გარშემომყოფ წარმართებში ვრცელდებოდა, ის აღიარებული იქნებოდა როგორც საშიში რადიკალი, აქედან გამომდინარე ყველა სერიოზული შედეგებით.

აქ არის განსაკუთრებული რამ, რასაც ჩვენ, მართმადიდებელ ქრისტიანები ძალიან ყურადღებით უნდა ჩავუფიქრდეთ. დღესაც კი არიან ადამიანები, რომლებიც ისევე ვიწროდ აზროვნებენ და სვავენ ჩარჩოში ქრისტეს, თავიანთ ქვეყნებსა ან საზოგადოებაში. ისინი არ არიან დაინტერესებულები მასონური საქმიანობის მიმდინარეობით თავიანთი საზღვრის იქით და ხშირად მტრულად რეაგირებენ თხოვნაზე მისიონერულწამოწყებას.
ამასთანავე ცდილობენ გაამართლონ თავიანთი სურვილი, მიაწერენ ,,დიდ მოთხოვნილებას" საკუთარ ქვეყნებში ან სახლებში. ადრეულ ეკლესიას ასეთივე მიმართულებით რომ ემოქმედა, მაშინ არც ერთი ჩვენგანი არ იქნებოდა ქრისტიანი, რადგან ყველა ჩვენი წინაპარი წარმართი იყო! წმინდა მოციქულებს ყოფილ ისრაელებს რომ გაეზიარებინათ ეს მიდგომა, მაშინ ისინი არ დატოვებდნენ თავიანთ სამშობლოს, რათა სახარება ექადაგათ და ეკლესია დარჩებოდა პალესტინითშემოფარგლული.

მაგრამ ქრისტე მოვიდა, რათა გააერთიანებინა ყველა ერთ სულერ ოჯახად. მომავალი ,,ნათელი სოფლისა" (ინ.8,12), იგი მოვიდა გაეფანტა წყვდიადი წარმართების ცხოვრებისა და გაენათლებინა მათი ქვეყანა, როგორც მზეს, ყველასთვის ხსნის მომტანს. აი რატომ უბრძანა თავის მოციქულებს:

,,წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა" (მარკ. 16,15). და ისინი მთელს სამყაროში დადიოდნენ, მიჰქონდათ რა ეს სასიხარულო ამბავი ხსნის შესახებ, საშიშროებებისა და მოწამეობის მიუხედავად. ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია აგრძელებს ამ სასიხარულო ამბის გავრცელებას დღევანდელ დღემდე, თავისი განათლებული წევრების, ასევე სამღვდელებისა და მრევლის მონაწილეობით. თითოეული ჩვენთაგანი მოწოდებულია შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმიანობაში თავისი მხურვალე ლოცვებითა და სხვა მრავალი საშუალებებით, ჩვენი შესაძლებლობების მიხედვით.
წარმართობა-ეს მხოლოდ რამე კი არ არის მოციქულების დროს არსებული, ის დღესაც განაგრძნობს არსებობას. მილიონობითა და მილიონობით ადამიანი ელოდება ხსნის შესახებ ცნობას. ძალიან ამაღელვებელია იმ სიხარულისა და მადლიერების ნახვა, რომელსაც ეს ადამიანები, რომლებმაც პირველად გაიგეს ქრისტეს შესახებ, ამჟღავნებენ ჩვენი ეკლესიის მისიონერების წინაშე. ისინი მოდიან რათა ირწმუნონ, მოინათლონ და თაყვანი სცენ ერთ, ჭეშმარიტ, სამპიროვნულ ღმერთს. ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ მრავალი ადამიანის სწრაფვით, რომლებიც ძალიან დიდ მანძილს გადიან (ზოგჯერ ფეხითაც), რათა მოვიდნენ, მოინათლონ და მონაწილეობა მიიღონ საღვთო ლიტურგიაში. ისინი ამას იმ დრომდე აკეთებენ, სანამ არ მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი მართმადიდებლური ტაძრის აგებისა.

მინდოდა აქ ერთი საჭირო შენიშვნა შემეტანა, ზოგიერთს ერევა ეკლესიის მისია პროზელიტიზმთან, რომლებსაც სხვადასხვა სექტები იყენებენ. პროზელიტიზმი მდგომარეობს მიიზიდოს ხალხი თავის ჯგუფში ცბიერებისა და ტყუილის გზით. იგი დაგმობილია მართმადიდებლური ეკლესიის მიერ, რომელსაც არასოდეს არ გამოუყენებია ასეთი საშუალებები. მართლმადიდებლური მისია-ეს სხვა რამაა, რადგან იგი პატივს სცემს თითოეული ადამიანის თავისუფლებას. ის ჭეშმარიტებას ყველასთვის ქადაგებს, ვინც მის მიმართ დაინტერესებას იჩენს და გამოცხადების (რაც არ უნდა დიდი ხანი გრძელდებოდეს) შემდეგ, ჭეშმარიტ მორწმუნეებს ნათლობით იღებს ეკლესიაში ჩვენი უფალი იესო ქრისტე მოუწოდებს მათ, ,,რომელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა" (მარკ. 8,34). ქრისტე არავის არაიძულებს.

ბოლოს, ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ ჩვენი უფალი (როგორც წინასწარმეტყველებდა მართალი სვიმონი) -ეს ნათელია, ყველა ქვეყნის განმანათლებელი და ყველა ადამიანის მხსნელი. მას სურს ჰყავდეს განათლებული დამხმარეები, რომლებმაც უკვე მიიღეს მის მიერ გამოხსნილი ამბავი. და ეს არა იმიტომ, რომ მას სჭირდება ისინი-ის ხომ ყოვლის შემძლეა და თავად შეუძლია ყველაფრის გაკეთება. მაგრამ ის გვთხოვს ჩვენ გავხვდეთ ,,ღმრთისა

თანაშემწენი" (იხ. 1 კორ. 3,9), რათა პატივი მოგვაგოს. მოდით მივიღოთ ჩვენს მიმართ მოგებული პატივი და ვიბრძოლოთ მართლმადიდებლური მისიონერობისთვის ჩვენი ნათელი მაგალითით. და ჩვენმა აღმშენებლობითმა სიტყვამ რწმენის ნათელი მოჰფინოს რაც შეიძლება ბევრ ადამიანს, რათა მათაც შეეძლოთ იყვნენ განათლებულები და ხსნილნი ქრისტეს მხსნელის მიერ. ამინ.